

განმარტებითი ბარათი

"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით

საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადებული სანესდებო კაპიტალი ძალზე მცირე და იგი შეადგენს მხოლოდ 15 მილიონ ლარს, რაც მთლიანი აქტივების (2,1 მილიარდი ლარის) 1%-ზე ნაკლებია. ეს მაჩვენებელი დსთ-ის სივრცეში მოქმედი სხვა ცენტრალური ბანკების სანესდებო კაპიტალთან შედარებით ყველაზე დაბალია. მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ცენტრალური ბანკის სანესდებო კაპიტალი მისი მთლიანი აქტივების მინიმუმ 8-10% მაინც უნდა შეადგენდეს.

ეროვნული ბანკის სანესდებო კაპიტალის გაზრდის მოტივონა არაერთხელ იქნა დასმული, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე სეზ-ის საერთაშორისო აუდიტორული კომპანიებისა და სხვა უცხოელი ექსპერტების მხრიდანაც. მის გაზრდას ასევე ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკიც. კაპიტალის ზრდა ხელს შეუწყობს მსოფლიო საბანკო სისტემაში საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის, საიმედოობის ამაღლებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის სანესდებო კაპიტალის გაზრდა 40 მილიონ ლარამდე არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არანაირ დამატებით ხარჯებს.

კანონში შესატანის ცვლილებების ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.